ხელშეკრულება № 02-03 / 114
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 17 მაისი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ.№46ა) (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ვართან ცარუკიანი (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით, (პროგრამა 070707) ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს ბალანსზე რიცხული ტრაქტორის (სახ. ნომერი RT853T) შეკეთებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV 50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000,00 (ათასი) ლარს,

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს სანერგე მეურნეობების განვითარების პროგრამის აგრო-ინჟინერი ნოდარ ბოლქვაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების საფასურის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების მომსახურების ხარისხის

შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება, გასაწევი მომსახურების მოცულობის შესაბამისად.
ბ) შეასრულოს გამოვლენილი დეფექტის გამოსწორება „შემსყიდველი"–ს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
გ) გააცნოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შედეგები და გაითვალისწინოს მისი მოთხოვნები;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	ი.მ. ვართან ცარუკიანი
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა	საქართველო, ბათუმი, დ თავდადებულის ქ., N 127
	სს „საქართველოს ბანკი“
ს/კ 445399391	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა №GE82BG0000000922797000
დირექტორი	პირადი №61001013715
გოჩა ბერიძე	ვართან ცარუკიანი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	საერთო ღირებულება (
1	CPV 50530000 - მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	.მაერთებელი გარსაცმის კუთხის მოტეხა, რომელიც საჭიროებს თუჯის შედუღებითი სამუშაოების ჩატარებას	-	-	1000,00
2		უკანა ხიდის დაშლა, დიფერენციალის კბილანების აღდგენა და მაერთებელ გარსაცმზე ოთხი ცალი ახალი კუთხვილის მოჭრა და აკრეფა, ფორმაში მოყვანა			
3		.მაერთებელ გარსაცმზე თუჯის შედუღებითი სამუშაოების ჩატარება			
4		გადამცემი კბილანის(გამრუდებული) ღერძის გამოჩარხვა			
5		.პლანეტარულ კბილანასა და ჭია კბილანას შორის ღრეჩოს დარეგულირება			
საერთო ჯამი			**ლარი**		**1000,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

დირექტორი

გოჩა ბერიძე

ინდ.მეწარმე

ვართან ცარუკიანი